ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №2

2023 წლის 21 მარტი
ქ. ონი

ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბის - ამარანტები“ ერთობლივად დაფუძნების გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ონის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-20 მუხლი, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 106[1]მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ონის მუნიციპალიტეტის მერს ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბის - ამარანტები“ ერთობლივად დაფუძნების გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. #13).

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა მარკიოშვილი